

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #4

ქ. თბილისი

2026 წლის 23 ივლისი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. ნაზირა კაკულია 2. ნინო ფარესაშვილი 3. ლელა ბახტაძე 4. საბა გოგიბერიძე 5. ივა ბახტაძე 6. ლუკა გიორგობიანი 7. გიორგი გოროზია 8. ლუკა რუხაძე 9. ნიკა სამხარაძე 10. ლია მაჭავარიანი 11. მარიამ ახალკაციშვილი 12. ლუკა გერგედავა 13. მაია ივანიძე 14. ირა აქუბარდია 15. ნინო გოგნიაშვილი 16. ბარბარა მახარაძე 17. ანი ქიტიაშვილი 18. რევაზ გაჩეჩილაძე 19. ლუკა ტაბიძე 20. ლილი მამუკაშვილი 21. ნინი ჯავახიშვილი 22. ვლადიმერ მარგველაშვილი 23. თინა ქიტუაშვილი 24. არჩილ ხომასურიძე 25. კახაბერ ლორია 26. თეა ქარჩავა 27. ნათია ფიფია 28. გიორგი არქანია 29. მარიამ მახაროზიძე 30. ქეთევან სტურუა 31. ზურაბ გაიპარაშვილი 32. ნინო პავლიაშვილი 33. ციური სუმბაძე 34. სოფიო ხუციშვილი 35. ადა ნემსაძე 36. თამილა ჩალაძე 37. ედიშერ ფუტკარაძე 38. ეთერ კაკულია 39. მარინე ხუციშვილი 40. ნოდარ ლომიძე 41. თეა შავაძე 42. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა საბჭოს წინაშე დასვა დღის წესრიგის წარმოდგენილი სახით დამტკიცების საკითხი.

დღის წესრიგი:

1. “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №46/2026 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

2.“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2026 წლის 13 ივლისის №54/2026 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი:ლაშა სალინაძე);

3.“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივლისის №56/2026 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი:ლაშა სალინაძე);

4.“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივლისის №57/2026 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი:ლაშა სალინაძე).

1.წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა საკითხი - “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №46/2026 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილება შეეხება უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობის საკითხს, კერძოდ, შეზღუდვიდან დამატებით გამოწვევის იქნება შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის საბჭოს წევრის ან/და ექსპერტის, ან სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა, ამისთვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად. მომხსენებელმა ისაუბრა დოკუმენტის ირგვლივ;

დამატებით აღნიშნა, რომ ცვლილება ძალაში შესვლის თარიღად მიზანშეწონილია განისაზღვროს აკადემიური საბჭოს მიერ აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დღე - 2026 წლის 29 ივნისი.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №46/2026 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 2);
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი აკადემიური საბჭოს მიერ მიღების დღიდან - 2026 წლის 29 ივნისიდან.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა საკითხი - “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2026 წლის 13 ივლისის №54/2026 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

აღინიშნა, რომ აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ #1 დანართის მე-4 მუხლს ემატება 6¹ პუნქტი, რომლის მიხედვითაც, კომისია, მუშაობის დაწყებამდე, შეფასების კრიტერიუმების გამოყენების პროცედურულ საკითხებთან, შეფასების ფორმების შევსების პროცედურულ საკითხებთან, ოქმების შედგენისა და სხვა პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, ვალდებულია სამართლებრივი კონსულტაცია გაიაროს უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტთან.

მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2026 წლის 13 ივლისის №54/2026 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 3);

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა საკითხი - “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და

პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივლისის №56/2026 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

აღინიშნა, რომ თსუ ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალს დაემატა წამყვანი პროფესორის პოზიცია. შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს გარკვეული ცვლილებების შეტანა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში.

აღინიშნა, რომ წამყვანი პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 12500 ლარით. ასევე, ფაკულტეტების მიხედვით ისაუბრა მინიმალურ სავალდებულო პედაგოგიურ და სამეცნიერო დატვირთვაზე. განმარტა, რომ წამყვანი პროფესორი უძღვება ფაკულტეტის შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის/ ერთეულების მიერ განხორციელებად სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს ამ ერთეულების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. აღინიშნა, რომ წამყვანი პროფესორის აკადემიური თანამდებობა შეუთავსებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო, მკვლევართა, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობებთან. ასევე, წამყვან პროფესორს უნივერსიტეტთან არ შეიძლება ჰქონდეს სხვა სახის შრომითსამართლებრივი ურთიერთობა. გამონაკლისია, შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება, არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა, შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა...

საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, მომხსენებელმა უპასუხა აკადემიური საბჭოს წევრთა შეკითხვებს და განმარტა, რომ პირველ ეტაპზე, წამყვანი პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსის გამოცხადება იგეგმება ეკონომიკის, იურიდიული და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე, შესაბამისი ფაკულტეტების, ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ჩართულობით, ვინაიდან დაფინანსების ახალი მოდელის ამოქმედებამდე, კონკურსები უნივერსიტეტის მიერ გამოცხადდება სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. აღინიშნა, რომ წამყვანი პროფესორის არჩევის ვადა, თსუ წესდებაში ბოლო განხორციელებული ცვლილებების მიხედვით არის 2 (ორი) წელი. წამყვანი პროფესორის არჩევნები უნივერსიტეტში იგეგმება სექტემბრის შუა რიცხვებისთვის.

კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდგომ წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

წინააღმდეგი: 2

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივლისის №56/2026 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 4);

4.წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა საკითხი - “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივლისის №57/2026 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

აღინიშნა, რომ თსუ ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალს დაემატა წამყვანი პროფესორის პოზიცია. შესაბამისად საჭიროა გარკვეული ცვლილებების შეტანა “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში. მომხსენებელმა ისაუბრა დოკუმენტში შესატან ცვლილებებზე და დამატებებზე.

საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, რომლის დასრულების შემდგომ წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 2

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივლისის №57/2026 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 5).

სენატის სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

ვლადიმერ მარგველაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი

გიორგი ოქიტაშვილი



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2026 წლის 23 ივლისი, #4 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი


აკადემიური პერსონალი

1. ნაზირა კაკულია -

2. ნინო ფარესაშვილი -

3. ლელა ბახტაძე -

4. მარინა მაისურაძე -



ნ. ფარესაშვილი
ლ. ბახტაძე


სტუდენტები:


1. საბა გოგიბერიძე -


2. ივა ბახტაძე -

3. ლუკა გიორგობიანი -


ი. ბახტაძე
ლ. გიორგობიანი

4. გიორგი გოროზია - 


5. ლუკა რუხაძე - 

6. ნიკა სამხარაძე - 

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ლია მაჭავარიანი - 

2. მარიამ ახალკაციშვილი - 

3. მაკა მურვანიძე -

სტუდენტები:

1. მარიამ ვარდოსანიძე -

2. ვასილ ბერიძე -

3. ხატია ყველაშვილი -

4. ლუკა გერგედავა - 


იურიდიული ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. მაია ივანიძე -

2. ირა აქუბარდია -

3. ნინო გოგიაშვილი -




სტუდენტები:

1. ზარბარა მახარაძე -

2. ანი ქიტიაშვილი -

3. ლუკა ჯანჯღავა -



სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ხათუნა მაისაშვილი -

2. რევაზ გაჩეჩილაძე -



სტუდენტები:

1. კახა კუჭუხიძე -

2. ლუკა ტაბიძე -




ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

ვლადიმერ გამსახურდია -

სტუდენტები:


1. ლილი მამუკაშვილი - 

2. ნინი ჯავახიშვილი - ნ. ჯავახიშვილი


მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი -




2. თინა ქიტუაშვილი -



3. ია კირვალიძე -

4. ლალი შარვაძე -

5. არჩილ ხომასურიძე -



სტუდენტები:


1. ასპრაფ მაკვი ელკვალიფა მოჭამედ -

2. დემეტრე აბესაძე -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. კახაბერ ლორია-



2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. მანანა რუსიშვილი-


4. თეა ქარჩავა-



5. ნათია ფიფია -


სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-



2. მარიამ ბალატური -

3. მარიამ მახაროზლიძე -



4. ქეთევან სტურუა -



5. ქეთევან ჭეიშვილი -


საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-




ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-



ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-



ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-


ს. ხუციშვილი

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის
ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-




ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-



ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტყარაძე-




მ. ნოდias გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-



პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

ე. ნ. ხაჩაძე

არნოლდ ჩიქოზავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ნ. ლომიძე

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

თ. შავაძე

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

ა. პაჭკორია



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 46/2026

29 ივნისი 2026წ.

“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო)
ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4
ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი
ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის,
54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3
ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით
დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის
პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის
14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს
რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 29 ივნისის №14251/10 წერილისა და
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №8 სხდომის ოქმის
საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების
(თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“
აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და
პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2, დანართი №3, დანართი №4,
დანართი №5, დანართი №6 და დანართი №7 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე
დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №2, დანართი №3, დანართი №4,
დანართი №5, დანართი №6, დანართი №7).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის
თანამდებობრივი სარგო**

1. „გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1350 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 900 ლარი;

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით

წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

3. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 2100 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1900 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1450 ლარი;
- დ) ასისტენტი - თვეში 700 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი - 6 საათი

სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 საათი საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 საათი საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 4 საათი საკონსულტაციო, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 6 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით), რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

გ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

5. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 3200 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1900 ლარი;
- დ) ასისტენტი - თვეში 800 ლარი.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 საათი საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - 10 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 საათი საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 18 საათი - 14 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 4 საათი საკონსულტაციო, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 8 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით), რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორისათვის, ასოცირებული პროფესორისათვის და ასისტენტ-პროფესორისათვის ამ დანართის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

გ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

7. წინამდებარე დანართის მე-3 (გარდა ასისტენტისა) და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პერსონალს (გარდა ასისტენტისა) შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

8. წინამდებარე დანართის მე-7 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური

პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციის ან/და აკრედიტაციის საბჭოს წევრის ან/და ექსპერტის, ან სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ვ) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება, დისერტაციის დაცვის, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების წევრობა.

9. ასისტენტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 700 ლარით. ასისტენტის თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს არანაკლებ სავალდებულო კვირეული 6 - საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 2 - საათიანი საკონსულტაციო დატვირთვის შესრულება.

10. ასისტენტი, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში თავისუფლდება ასისტენტის აკადემიური თანამდებობიდან, გარდა იმ შემთხვევისა როცა მისი დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა დაკავშირებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებასა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან.

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი
სარგო**

1. „ბ“ კატეგორიის აფილირებული აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1200 ლარი;
- დ) ასისტენტი - თვეში 900 ლარი.

„ბ“ კატეგორიის არააფილირებული აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
- ბ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 6 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამავე პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით), რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო

ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.დ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 4500 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3600 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2700 ლარი;
- დ) ასისტენტი - თვეში 1050 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი - 8 სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 - საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 - საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 4 - საკონსულტაციო, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 8 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით), რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

გ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს (გარდა ასისტენტისა) შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციის ან/და აკრედიტაციის საბჭოს წევრის ან/და ექსპერტის, ან სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ვ) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება, დისერტაციის დაცვის, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების წევრობა.

7. ასისტენტი, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, თავისუფლდება ასისტენტის აკადემიური თანამდებობიდან, გარდა იმ შემთხვევისა როცა მისი დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა დაკავშირებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებასა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან.

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო**

1. „ბ“ კატეგორიის აფილირებული აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1550 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1300 ლარი;
- დ) ასისტენტი - თვეში 700 ლარი.

„ბ“ კატეგორიის არააფილირებული აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1125 ლარი;
- ბ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 900 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 6 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამავე პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით), რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით

(საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 100 ქულა;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - 60-80 ქულა;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 50 ქულა;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის,

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - 50 ქულა;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - 40 ქულა;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 30 ქულა;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - 25 ქულა;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - 20 ქულა.

ბ.დ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

- ა) პროფესორი - თვეში 3200 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2600 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2100 ლარი;
- დ) ასისტენტი - თვეში 800 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (ასისტენტის შემთხვევაში სასემინარო და კვლევითი სამუშაოები) შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 10 საათი - 8 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 - საკონსულტაციო, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 2 - საკონსულტაციო, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 4 - საკონსულტაციო, ასისტენტისათვის კვირაში არანაკლებ 8 სასემინარო საათი, 2 საათი საკონსულტაციო.

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (გარდა ასისტენტისა, რომლის კვლევითი საქმიანობა განისაზღვრება ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით), რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

გ) ასისტენტი ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს (გარდა ასისტენტისა) შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

